№ 122
პარასკევი, 9 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 122
პარასკევი, 9 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ესტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი“.**

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—1)

**„ივერიის“ რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ბორჯომში

ამ ზაფხულს იძლევა ქირით ბუჭა იოსელიანის საავარაკო სახლების მეორე სართულში

შვიდი ოთახი,

ყოველისავე მოწყობილობით. ქირის ან სხვა პირობების გაგებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს პირადად ან წერილით იმერეთის საეპარქიო სანთლის საწყობში ნიკიფორე ბოლქვაძეს, ქუთაისში. (3—6.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12 1/2—1 1/2 საათ. სიფილისი.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7 1/2—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქუთაისის ჭაცვიგცემულ საზოვადოების საყურადღებოდ.

ჰურჰლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—16)

## ახალი ამბავი

*** როგორც პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში კურსი დაუმთავრებია სულ ხუთს ქართველს: აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული განყოფილება—იუსტინე აბულაძეს, საბუნების-მეტყველო ფაკულტეტი—სანდრო გაბუნიას, იურიდიული ფაკულტეტი—გიგო გაბაშვილს, გიგო რცხილაძეს და კოტე მაყაშვილს.

*** პუშკინის სახელობაზედ განზრახულს პირველ დაწყებითს სკოლას ხარფუხში უპირებენ გახსნას. გარდა ამისა, ამიერიდგან ქალაქის სასწავლებლებს „პირველი“, „მეორე“, „მესამე“ და სხ. მიემატება სახელად ხოლო იმ სკოლებს, რომლებშიაც ქ-ნნი შანშიევისა, ჩაჩიბაია და ტიმოფეევისა ასწავლიან, „ერეკლეს სკოლები“ დაერქვა.

*** როგორც ამ წინაზედ დეპეშამ გვაუწყა, გამოქვეყნებულ იქმნა ახალი წესი, რომლითაც ჩამომავლობით აზნაურობის დამტკიცება და საგვარეულო წიგნებში ჩაწერა შეიძლება, ამ ხალის წესით ჩამომავლობით აზნაურიშვილობას დაიმტკიცებს ის, ვინც სამსახურში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობას ან-და 1 ხარისხის კაპიტნობას მიიღებს. ამავე ღირსებას ანიჭებს პირველი ხარისხის ორდენები, წმ. გიორგისა ყველა ხარისხისა, ვლადიმირისა პირველის 3 ხარისხისა, ვლადიმირისა მე-4 ხარისხისა მხოლოდ პირადს აზნაურობას ანიჭებს. თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატების კრებას უფლება აქვთ შთამომავლობით აზნაურთ საგვარეულო წიგნებში შეტანაზედ უარი უთხრან, თუ რომ მთხოვნელს გუბერნიაში რაიმე უძრავი ქონება არ ექნება. თანახმად ამ ახალის განკარგულებისა, შთამომავლობით აზნაურობის მიმღები ებრაელები საგუბერნიო სათავად-აზნაურო საგვარეულო წიგნებში არ იწერებიან.

*** ოთხშაბათს, 7 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის ტეხნიკოსის ბ-ნ მუხარინსკის ნაცვლად, რომელმაც ეს რამდენიმე თვეა სამსახურს თავი დაანება, მიიწვიოს ამ თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ინჟინერ-ტეხნოლოგი ბ-ნი ქურდოვანიძე.

*** თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისა, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურს კანტორასა და ყველა უცხო სარწმუნოების სასულიერო კონსისტორიებსა და პირთ მიწერილობა გაუგზავნა, რომ 1901 წლის 1-ლ იანვრიდგან სამხედრო ბეგრის მოსახდელად გასაყვანთა მეტრიკის მოწმობები ჯეროვანს დაწესებულებას 15 იანვრის მაგიერად 1-ლ იანვარს წარუდგინონ ხოლმე და ჯარში გამოსაწვევ ყმაწვილ კაცთა სიები 1-ლ აპრილის ნაცვლად 15 მარტისთვის იყოს მზად.

*** შაბათს, 10 ივნისს, ქალაქის გამგეობაში მოხდება სხდომა იმ საგანგებო კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს გამოარკვიოს რა ნაირად უნდა შეიცვალოს აწ არსებული ცეცხლის ქრობის საქმე ისე, რომ ქალაქის ყველა ნაწილში თავისს დროზედა და ადვილად მიაშველოს რაზმი და სხვ. ამ სხდომას ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალევიც დაესწრება.

*** ორლოვსკის ქუჩის მცხოვრებთ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისათვის კოლლექტიური (საერთო) საჩივარი მიურთმევიათ ქალაქის გამგეობაზედ იმის გამო, რომ დღემდის ქალაქს ეს ქუჩა ვერ მოუფენია ქვითა და ერთობ დაოღრო-ჩოღროვებულია.

ჩვენის აზრით-კი ასეთი საჩივარი მთელს ტფილისსა ჰმართებს, რადგანაც ამ ჟამად თვით საუკეთესოდ შენახული გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტებიც-კი ამ დღეშია, თორემ სხვა ქუჩებისას ვინ რას იტყვის?

*** ივნისის დამლევს ამიერ კავკასიაში საერო განათლების და მიწად-მოქმედების მინისტრთა თანაშემწეებს მოელიან.

*** განზრახვა თურმე აქვთ ტფილისში საყურადღებო ნოტების კრებული გამოსცენ ძველის ქართულ-საეკკლესიო გალობებით.

*** სახალხო კითხვათა უმაღლესად დამტკიცებულს სამუდამო კომისიას აზრად თურმე აქვს თავისი მოღვაწეობა შედარებით მეტად გააფართოვოს. ამ ცვლილების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და საერო განათლების სამინისტროში წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

*** ბირჟებზედ ხმა დადის, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს „საბანკო კანტორებს“ მუდმივად და სასტიკად ადევნოს თვალ-ყური. გარდა ამისა განზრახვა თურმე აქვთ ახალი დებულება შეიმუშავონ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ხოლმე საბანკო კანტორის გახსნის დროს.

*** 7 ივნისს აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი იმერეთში წავიდა იმ ვენახების დასათვალიერებლად, სადაც ამერიკული ვაზია გაშენებული.

*** ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს უკანასკნელს თავისს სხდომაზე დაუდგენია, რომ ქალაქის ექიმებმა პოლიციის მოხელეებთან ერთად კვირაში ერთხელ ხოლმე მაინც უთუოდ დაათვალიერონ ბაზრები და სავაჭრო სახლები, და სხვა და სხვა სანოვაგე გასინჯონ.

*** მთავრობას განზრახვა თურმე აქვს შემოდგომაზედ პეტერბურგში სრულიად რუსეთის სასკოლო გამოფენა გამართოს.

*** როგორც გაზ. „Кавк. Сельск. Хоз“-ს სწერენ, განჯის გუბერნიის 15 სოფელში საშინელს სეტყვას ნათესები მთლად მიურეგვია.

*** როგორც გაზ. „კასპი“-ს გაუგია, 1-ლ ივლისიდგან ბაჟი დაედება იმ ნავთსაც თურმე, რომელიც ბაქოში ისყიდება; უბაჟოდ მხოლოდ ბაქოს განაპირა ნაწილებში—თეთრისა და შავ ქალაქში გაისყიდება.

*** რადგანაც ქალაქის გამგეობას მოუხერხებლად უცვნია, რომ ქალაქის წყლის მიდების ზედამხედველ ტეხნიკოსმა იმავე დროს ჰმართოს ქალაქის ნაგვის მზიდველ-მწმენდელ არტელის საქმეები, ოთხშაბათს, 7 ივნისს დაუდგენია არტელის მართვა-გამგეობა ჩააბაროს ქალაქის შტატს-გარეშე ტეხნიკოსს.

*** ქ. ზუგდიდი. წელს ჟურ-ჟურობით კარგი ამინდის წყალობით მთელს მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ შემდეგისთვისაც ხელი შეუწყო ამინდმა.

წელს აბრეშუმის ჭიის თესლი თითო-ორთოლა კიდოფი ყველა ოჯახსა აქვს აღებული, რადგანაც მისი საკვები თუთის ხე საკმაოდ ჰქონდათ მოშენებული; მართალია, აქ ზოგიერთებმა დიდად იზარალეს ცუდის თესლის წყალობით, მაგრამ შარშანდელთან შედარებით წელს მაინც მეტი უნდა მოუგიდეთ აბრეშუმი. ფუთი სიმინდი დაბა ანაკლიაში 48—49 კ. ღირსობს.

გადამდები ავადმყოფობა ზუგდიდის მახლობლად არასფერია, მხოლოდ მაზრის საზღვარზედ, ინგურის გაღმა ნაპირზედ სოფ. ჭიბურხინჯში ყვავილია მოდებული, რომელიც ადვილად შეიძლება გადმოიტანონ, თუ არ გაუფრთხილდნენ.

ზუგდიდის საურთიერთო საკრედიტო ბანკის წარმოებას წინ-წაწევა ეტყობა; ფულის შემოტანაც ყოველ დღე მატულობს და სესხიც საკმაოდ გადის.

თოთხმეტს მაისს, სენაკიდგან ზუგდიდისაკენ მიმავალმა დილიჟანმა, ზუგდიდიდგან მე-9 ვერსის მანძილზედ ერთი ჯორზედ მჯდომი კაცი გიორგი ბიბიჩური თავისს ჯორიანათ ქვეშ მოიტანა. დაეწია თუ არა გაქანე-

ბუდი დილიჟანი, ჯორი თურმე შედგა და ჩუჩუნი აღარა ჰქნა; როცა ბატონმა დაამალა, უკან-უკან დაიხია და შიგ ცხენებს ფეხ-ქვეშ შეუვარდა. მიმიგური დილიჟნის თვლებს გადაურჩა, მაგრამ ცხენებმა საშინლად დაწიხლეს და მარცხენა მკლავი მოსტეხეს.

## წერილი კავკასიის მაზრიდგან.

დიდხანს ვერ დაივიწყებს და ვერ მოინელებს ქურთაულისა, დარღავსისა და სანების საზოგადოება იმ ზეციდგან მოვლენილ რისხვას, რაც ამ მაისის შვიდსა და რვას არგუნა მათ ზეცამ. შვიდ მაისს დაწყობილი მხაზუნა წვიმა ცხრა მაისამდის არ შეწყვეტილა, ისე გადუღებლად მოდიოდა. მთის მწვერვალებზედ ერთის კვირის წინად ახალი თოვლი მოვიდა. ამ მაისის გამუდმებულმა წვიმამ ახალი თოვლი უცბად გაადნო და ამ გამუდმებულ წვიმის ნიაღვრებს შეუერთდა გამდნარი თოვლის ნიაღვრები აქეთ-იქეთ მაღალ მთებიდგან და ვიწრო ხეობიდგან და მთლად დაგლიჯა საბრალო მთის ოსების ფერდობებზედ ნახნავ-ნათესი იყო, თუ სათიბები. ეს არა ჩვეულებრივი ნიაღვრები ახლა შეუერთდა ხეობების მდინარეებს,—გ. ი. ქურთათის ხეობაში მდინ. ფიაგდონს, დარღავსისაში მდინ. ურბან-დონს და სანებისაში მდინ. განალ-დონს. გაგიჟებულმა მდინარეებმა ბევრგან სახლები დააქცია, წისქვილებისა ხომ ხსენება გააწყო და დააქცია აგრეთვე ორი დიდი მველი მამა-პაპეული ციხე (კოშკი) დარღავსის საზოგადოებაში, რომელთაც ძირი გამოუთხარა მდ. ურბა-დონმა. ამ ზარალსაც გაუძლებდნენ საბრალო მთის მცხოვრებნი, მაგრამ ისე გაუფუჭებიათ ხეობებში შესავალი ურმის გზა, რომელიც ამ სამმა ხეობამ დიდის გაი-გაგლახით გააკეთა, რომ ამ ჟამად უცხო კაცმა ნახოს, იტყვის: აქ თავის დღეში გზა არა ყოფილაო. ზარალი მეტად დიდია სამგე ხეობის საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაწვრილებით არ არის მეტყობილი.

ზარათაც ბევრი ნავნები ქნეს მოდიდებულმა მდინარეებმა: სოფ. ოლგინსკაში მდინარე კამბილეევა კალაპოტიდგან გადმოვარდა, რამდენიმე ხეხილის ბაღი გააფუჭა, ორას ძირამდის სვა მოიტაცა, მრავალი შინაური ცხოველი დაღუპა და 100 დესეტინაზედ მეტი დათესილი სიმინდი წაღეკა. ამავე დროს პეტროვსკის რკინის გზის შტოც მრავალგან დაზიანა, ასე რომ მატარებლის მიმოსვლა რამდენისამე დღით შეწყვეტილი იყო. სოფ. ხუმელაგასა და სოფ. ყაყადურს შუა მეფურეგრეებს მივარდათ იგივე მდინარე და სამას ძირამდე სვა დასტაცათ. თვით სოფ. ხუმელაგაშიაც რამდენიმე სახლი დაზიანა, ხეხილის ბაღები და ბაღჩეულობა წაღეკა და ქუჩები გააფუჭა. რუსის სოფ. სლებცოვსკაში მივარდნილმა მდინარემ რამდენიმე დუქანი და სახლი დააზიანა, მინდვრად ხუთას სულამდე ცხვარი, რამდენიმე ცხენი და ხარ-ძროხა დაღუპა; შინაურ ფრინველს ხომ ანგარიში არა ჰქონდა.

ძრიელ სამწუხარო ამბები მოდის აგრეთვე ქ. გროზნიდგანა და ყიზლარიდგან: გროზნაში მდინარე სუნჯა, თითქმის ორ საჟენ-ნახევარზედ ჩავარდნილი, ღრმად მიდის კალაპოტში, მაგრამ იმოდენად ადიდდა თურმე ეს მდინარე, რომ კალაპოტიდგან გადმოვარდა და ქალაქს მოედო; ორმოცამდე დუქანი წაღეკა, ბევრი სახლი დააზიანა; ქუჩებს ხომ ქუჩობა აღარ ეტყობოდა. ერთმა აქაურმა მდიდარმა ვაჭარმა, იმ განზრახვით, რომ იქნება გადმოვარდნილი მდინარე შევამაგრო როგორმე და ქალაქი ზარალისაგან ვიხსნაო, თავისი საკუთარი წმინდა ხორბლის ფქვილებით სავსე ტომრები აზიდვინა და აწყობინა იქ, საიდგანაც უფრო გადმოდიოდა მდინარე, მაგრამ ამაოდ; გაგიჟებულმა მდინ. სუნჯამ თავისი არ დაიშალა, ფქვილებით სავსე ტომრებიც, რასაკვირველია, დაიტაცა და ამ ნაირად მდიდარს ვაჭარს ორმოც-და-ათი-ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა.

ყიზლარში უფრო საშინელება მოახდინა მდინარე თერგმა, მთელი ყიზლარი ზღვის მსგავსად იყო მოდებულმოლივლივებული წყლით. სახლ-დუქნებისა და შინაური ცხოველის ზარალი დიდია. ვენახ-ბაღჩები თითქმის სულ წაღეკილია. ამბობენ, სხვა-და-სხვა ზარალის გარდა, ადამიანთა მსხვერპლიც ბლომად შეიწირა ყიზლარში ამ წვიმაწყალდიდობამაო.

დიდი ზარალი და ვნება მისცა ამავე დროს წყალ-დიდობა-ნიაღვარმა დიგორის მთების მცხოვრებთ და მათს გზებს. საზოგადოდ ეს მაისი წელს პირველი რიცხვიდგანვე ძრიელ წვიმიანი და ცივი ამინდებით გავიდა. გარდა ამისა, რამდენიც წვიმა მოვიდოდა, იმდენი კავკასიონის მთებს ჩამოათეთრებდა ხოლმე და მიზეზიც ეს არის, რომ აქეთ მხარეს ჯერ ისევ შესამჩნევადა ცივა. ერთი სიტყვით, წრევანდელმა მაისმა ბევრი ისეთი ვნებები ქმნა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ დიდხანს არ დაავიწყდებათ.

ქართველი ოსებში

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ხიდისთავი (გურია).** ეს სოფელი ასზედ მეტს მცხოვრებს შეიცავს, რომელნიც უმეტესად მეაბრეშუმეობას ეტანებიან, რასაც ადგილობრივი ჰავა ძლიერ ხელს უწყობს. ხიდისთავის გარშემო მყოფი სოფლები: მეწიეთი, ზენობანი, ქვენობანი, ბაღილეთი, ახალშენი და სხვა, ხიდისთავით სულდგმულობენ. როგორც ცენტრში, აქ ჩამოაქვთ გასასყიდად ყოველ-გვარი ნაწარმოები და აქედგანვე იგმაყოფილებენ უკველგვარს ოჯახურს მოთხოვნილებას. აქ არის ის პირველი წელიწადია პარკის საწყობი, რომელიც სამს კაცს ეკუთვნის. ხსენებული საწყობი ყიდულობს ადგილობრივ თითქმის მთელს აბრეშუმს და როგორც კერძო საკუთრო სახლი, სამწუხაროდ, ხშირად მეტად უსამართლოდ სარგებლობს თავისს უფლებით. შარშან, მაგალითად ისინი ხან აუწევდნენ, ხან დაუწევდნენ პარკის ფასს. დილით რომ 12 მანეთს აძლევდნენ ფუთ პარკში, საღამოზედ თუმნადაც აღარ იღებდნენ და სხ. ერთი სიტყვით, აბრეშუმის მწარმოებელთას შრომისა და საქონლის დაფასება მთლად მათ ხელთ იყო და ბურთივით ათამაშებდნენ. მაგრამ ამას როდი კმარობდნენ და ხშირად ხამ გამყიდველებს, წონაშიაც ატყუებდნენ, რაიცა, ეჭვი არ არის, არც მოსაწონი და არც მცხოვრებთა სასარგებლოა. ასე იყო შარშან და ამავ მდგომარეობაშია სოფელი დღესაც, მაგრამ ზრუნვა და შველა ამ გარემოებისა ყველას წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს. აი ეხლა აბრეშუმის ჭია პარკს აკეთებს და გლეხებიც მალე ჩამოიტანენ გასასყიდად ხიდისთავში. რომ წონაში მაინც შარშანდელი უპირულობა არ იქმნეს გამეორებული, საჭიროა ადგილობრივი ინტელიგენცია დაეხმაროს, იშოვონ როგორმე ერთი სასწორი და დაინიშნოს ზედ ორიოდე კაცი, რომელმაც უნდა აწონოს და გააგებინოს გამყიდველს მისის პარკის ნამდვილი წონა. აწონვაში ცოტა ქირასაც გადიხდის გამსყიდველი, ოღონდ პარკის ნამდვილი წონა გაიგოს. შემოსავალი შეიძლება საზოგადო საქმეს მოხმარდეს, მაგალითად, სამკითხველოს, რომელიც დღეს-დღეობით სულსა ჰლევს. ეს ადვილი საქმეც არის და სოფელსაც დიდს შეღავათს მისცემს, თუ მართლა გულით მოისურვებენ და ხელს მოჰკიდებენ საქმესა.

დასასრულ არ შემიძლიან ერთი რამ არ აღვნიშნო კიდევ: აგერ ერთ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც ხიდისთავში ილიკო ივანოვმა მეეტლეთა ამხანაგობის დაარსება განიზრახა. ფანიზრახა და კიდევაც მოჰკრიბა ფული (პაი 20 მ.) წევრებში, რომელთა რიცხვიც 80-დე ავიდა. კრება უკვე ჰქონდათ და ამოირჩიეს კომისია (ოთხი კაცი), რომელსაც დაევალა მოკლე ხანში ცხენები და ეტლი შეეძინა, ეტლს ხიდისთავიდგან ოზურგეთამდე უნდა ევლო. მას შემდეგ გადის აგერ ერთი თვე, მაგრამ ჯერ არც ეტლი და არც ცხენები არ შეუძენიათ; რისთვის, ეგ მხოლოდ მათ ეცოდინებათ. ჩვენ-კი ის ვიცით მხოლოდ, რომ საზოგადოება დაიმედებული იყო, მალე ოზურგეთთან მიმოსვლა გაგვიადვილდებაო და იმედი უცრუვდება. სასურველია, ახლა მაინც დაუჩქარონ.

წრიპინცილიმუს.

## სოკოსაგან დახოცილნი.

სოფ. გარდატენში (გორის მაზრა) გიო დავითაშვილის პატარა ქალს მაისის 17-ში კარწინ ბოსტანში სოკო დაეკრიფა. ქალის დედამ რომ სოკო ჰნახა, ჯერ მოეწონა, მაგრამ შემდეგ უთხრა თურმე, არ ვარგა გადაჰყარეო. გოგომ დედის სიტყვა არ გაიგონა და მოინდომა მამისთვისაც ეჩვენებინა. მამა ამ დროს შინ არ იყო და ამ ცდაში ნელნელა მიჰყვეს ხელი სოკოს რჩევასა და მამის მოსვლამდე თითქმის სულ გაარჩიეს. მამაც მოვიდა. ბავშებმა დაინახეს თუ არა მამა, დაავლეს სოკოს ხელი და შინ შემოსვლისათანავე მიაგებეს: „მამა, ეს სოკო. განა, კარგია, იჭმევა, დედა გვიწყრებოდა!“-ო. მამა ნასვამი გამოდგა, აიღო თურმე სოკო, გადაშანჯა გადმოშანჯა და სთქვა, —აბა ახლა რაღა შეგატყო, კიდეც დაგიფუცქნიათო; მაგრამ მცირე ხნის შემდეგ უთხრა თურმე, მარილი მომიტანეთ, დავაყარო და შევწვა, გემოზე შევატყობ თუ არ ვარგაო. მამამ სოკოს მარილი მოაყარა და შესწვა. აქაო და მამამ ცეცხლზე სოკო დას-

# ფელეტონი

### უდები და იმათი ვინაობა.

(დასასრული *)

რუსების წყალობით სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, ხანის ყმობას მორჩნენ. ამასობაში მოაღწია 70 წლებმა. ესე მაშინდელ უდების მღვდლის და მასწავლებლის უხერხულმა ქცევამ აქ, ვართაშენში, ორი მტრული დასი შეჰქმნა. ორსავე დასში ერივნენ როგორც მართლ-მადიდებელნი, აგრეთვე სომეხ-გრიგორიანნი, როგორც უდები, ისე სომხებიც. მასწავლებელი მოჰკლეს, მღვდელი გაიქცა. მკვლელთა დასის მეთაურმა შეატყო, საქმე ცუდად წავაო და ტფილისს ჩავიდა; იქ შესჩივლა სომხეთ: არიქათ, მართლ-მადიდებელნი გვავიწროვებენ და ლამის გაგვამართლმადიდებლონო. „მშაკმა“, ამბობენ, ერთი აურ-ზაური ასტეხაო. ასე თუ ისე, ის მეთაური დაიფარეს, სარწმუნოებისათვის იბრძოდაო. დიდის ხნის შემდეგ მეთაური მხოლოდ სამის წლით დააპატიმრეს...

ვიდრე ეს მკვლელობა მოხდებოდა, გამართლმადიდებული სომხის სოფელი, თაზაქენთი, აღარ იყო: მახლობელ სომხის სოფლელებმა თვით მიისახლეს. ერთხელ ამ დასთა დამაარსებელნი მღვდელი და მასწავლებელი, ჩივიდნენ ხოიდგან გადმოსახლებულ ს. ყაიაბაშში, სადაც ს. თაზაქენთის უმრავლესობა გადასახლებულიყო. დაიბარეს ყველანი. ყაიაბაშელები ძალიან მდიდარნი არიან. მღვდელი და მასწავლებელი ვართაშენელ „კანვოითურთ“ (აწ ცოცხალია და მან მიამბო მათი ყაიაბაში ჩასვლა) დაბრუნდნენ. მხოლოდ ათი თუმანი წამოეღოთ თან. მთავრობას კი აცნობეს, თაზაქენთი ამოსწყდაო...

დაპატიმრებამდე ხსენებულ მკვლელობის დასთა მოთავე დაბრუნდა ტფილისიდგან მთელის ახალის გეგმით: ზემოდ დასახელებულ ეკკლესიის ალაგი ნიშებითურთ, „ეგიშეარაქელი“ (წმ. ელისეს ტაძრის ალაგი), სომხობამ ცხადად დაისაკუთრა და სასაფლაოს ძველის ეკკლესიის შეკედებასაც შეუდგნენ: ჯერ ჩამოაცალეს კარის ბჭეს ქართულად ზედწარწერილი ქვა და მერე დაუწყეს გარემო შემორტყმულ ბზის ბუჩქებს გლეჯა (ბზის ბუჩქი ეკკლესიასთან მართლ-მადიდებლობის ნიშანია და ეს რამდენიმე წელიწადია მიეზიდებიან სომხები თითო-ოროლა მოგლეჯილს ბზას სადღაც). მაგრამ ვერ მოიყვანეს წადილი სისრულეში, რადგან მეთაური დაიჭირეს. ის დღე და ეს დღე, სომხები მაინც პარპაშობენ აქ: ჯერ ხომ თავისიანნი დაიბრუნეს, მერე იმასაც შეეცადნენ, რომ თავიანთ სარწმუნოებასთან შეერთებულნი უდნი უფრო შეიკავშირონ. ვართაშნელ გასომხებულ უდების უმრავლესობამ სომხური ლაპარაკი კარგად შეისწავლა და უდურს ერიდება, — ქართულიაო (უდებს სომხები ეძახიან ხან უდს, უფრო-კი ვრაც, გურჯი); ს. ნიჯშიაც ზოგმა შეისწავლა სომხური, ხოლო სულთან-წუხელებმა, ეგიქენთელებმა და მირზაბეგელებმა უდურიც დაივიწყეს მთლად და ვერც სომხური შეისწავლეს,—სულ თათრულად ლაპარაკობენ.

სხვა იქით იყოს, ამ რამდენისამე წლის წინად „ეგიშე-არაქელობას“ (აღდგომის მე-3 დღე) სომხების ვარდაპეტი (არქიმანდრიტი) უნდა მოსულიყო (იგი ხშირად დადის სამრევლოებში თვისდა საქებურად; აქაურს ბოქაულს ბრძანება ჰქონდა, პატივით დაჰხვედროდა ვარდაპეტს. მას ნუხიდგან სომხობა მოსდევდა ცხენითა და ეტლით, აქაური სომხებიც დაჰხვდნენ, მიეგებნენ სოფელს გარედ და ისე მოაბრძანეს ვართაშენში სომხის ეკკლესიამდე. მეორე დღეს „ეგიშე-არაქელობა“ (ელისეობა) იყო. უდებს ამ ეკკლესიის ნანგრევებთან აადამ-ბაბადამ ზედაშის ქვევრები აქვთ. თითონაც წავიდნენ ჩვეულებისამებრ და მღვდელიც გაჰყვათ სალოცავად. გაიგეს, რომ მართლ-მადიდებელი მღვდელიც მოვიდაო, შემოეხვივნენ ყველანი. დიდი უსიამოვნება მოუვიდათ. ბოლოს მღვდელს ქაღალდი მისცეს, სომხებისაგან შემოსავალი სომხების ეკკლესიასაო, და მართლ-მადიდებლებისაგან—თქვენსასაო. ამის შემდეგ მღვდელმა აღძრა ლაპარაკი, სადაც ჯერ არს, ელისეს ეკკლესია ვისიაო. უპასუხეს: 20 წლებში გარჩეული ეგ საქმე და მაშინდელს „პროვინციის სუდს“ (ნუხში) ეგ ალაგი სომხებისთვის ურგუნებიაო. „პროვინციის სუდი“, ან მდივან-ბეგობა რასაც წარმოადგენდა მაშინ—ყველამ უწყის, ფული იმ დროს მართლაც რომ ჯოჯოხეთს ანათებდა...

სომხის გლეხობას ჯერაც ვერ გაუგია, რა განსხვავებაა ორ ქრისტიან ხალხს,—მართლ-მადიდებელთა და სომეხ-გრიგორიანთა შორის. გლეხი ქრისტიანი უწინარეს ყოვლისა ქრისტიანია და არა პოლიტიკოსი. სომხის აქაური სამღვდელოება სულ სხვა ნაირადა ჰფიქრობს.

ერთ ალაგას მოვიხსენიე, რომ მართლ-მადიდებელს უდებს ბევრი „კლიაუზნიკებს“ ეძახის-მეთქი. სწორედ მოგახსენოთ, ეს მართალია. ეხლა უდებში ყოველივე ბიწიერება მოიპოვება: შური, ღალატი, გაიძვერაობა, უნდობლობა, ლაქუცობა, მოქრთამეობა, ტყუილი, მრუშობა, ქურდობა, კაცის-კვლა, ფიცის-გატეხა, მხდალობა, დავა-საჩივრის სიყვარული, ერთის სიტყვით, ყოველივე ნაკლულევანება და ბოროტი, მაგრამ ყოველსავე ამას თავისი მიზეზი აქვს: უდები, ბუნებით ნიჭით დიდად დაჯილდოვებულნი, სამწუხაროდ, ცუდს გარემოებაში არიან ჩავარდნილნი: ვართაშენში 400 კომლი ურიაა, 350 კომლი გასომხებული უდი (მათ შორის 40-ოდე კომლი ნამდვილი სომეხია), 100 კომლი მაჰმადიანი უდი და თათარი და 160 კომლიც მართლ-მადიდებელი უდი. სარწმუნოებრივ და ეროვნულ სხვა-და-სხვაობისა და სხვა მრავალ მიზეზის გამო გამოწვეულ უნდობლობას ერთ-ურთა შორის ზედ დაუმატეთ სომხთა საქციელნი უდთა მიმართ და ცხადი გახდება, თუ რად არიან უდები უნდობნი და ფიცის გამტეხნი, გაუტანელნი და მოღალატენი. მაშასადამე, ამათ უფრო უნდათ ექიმი და შველა-პატრონობა და არა სხვას. უსამართლობა იქნებოდა, რომ არა ვთქვათ: პატრონობა და ექიმობა სომეხთაც უჭირთ: ისინი ზემოხსენებული ცოდვით არა ჩამოუვარდებიან უდებს.

დეე, უკეთესი წამალი სხვამ გამოძებნოს, მაგრამ ჩვენ კი გვგონია რომ ასე აბუჩად აგდებულ უდებს მშველელადა და პატრონად საერო და სასულიერო მთავრობა უნდა ჰყავდეს, თორემ ერთი უბრალო მღვდელი, ან მასწავლებელი ვერას გააწყობს...

ამ ხელად სასულიერო მთავრობის მხრივ შველა ის იქმნებოდა, რომ ინგილო-უდთათვის ერთი მისიონერი დაენიშნოს და ბლაღოჩინიც ერთი ჰყავდეთ.

ახალ-თიზირელი მწყემსი

*) იხ. „ივერია“, № 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო, იხუვლა თურმე ამ ბალღობამ და ყველამ სათითაო სოკო დაალაგა ნაღვერდლებზე; ააშიშხინეს, შესწვამეს და ყველას ძალიან ეგემა.—„გემრიელია არა მამი?" ხან ერთი შვილი ჰკითხავდა აჩქარებით მამასა და ხან მეორე. „გემრიელია, გემრიელია!"-ო— უთხრა ბოლოს მამამ. ამ სიტყვის შემდეგ მთელმა ოჯახმა დაუწყო სოკოს ჭამა. სჭამს გამადლებით მარილიანს სოკოს ნასვამი და მშიერი მამა, დედას ხელში სტაცებს ოდნავ შემწვარ სოკოებს კალთაზედვე მჯდომი პატარა პაჭარო; იქით თავ-თავისთვის სწვამენ და მღებიან გოგოები. შენიშნულია ხომ, რომ გლეხ კაცის ოჯახში დედაკაცი ჯერ ოჯახში მეოფთ დაამღობს, თუნდა სულ მოხრაკულები ჰქონდეს და შემდეგ მონარჩენით თითონ კმაყოფილდება. ამ შემთხვევაშიაც ასე იქცეოდა გიოს ოჯახობა,—სცდილობდა ყველანი მოემადრიელნა, ყველანი დაემღო, ყველასათვის მწვდია მარჯვეთ, ვინც-კი მისძახებდა: „მეე, დედა, მეე"-ო. ზედდატანებით მეზობლის გოგოც შემოესწროთ და ორი მირი სოკო ამანაც იგდო ხელთ; საჩქაროდ შინ გაარბევინა, ცეცხლზე მოხანხლა და შესწვამა. ამ დღეს სოკოს ყველა ემადრიელებოდა.

მეორე დღეს გიოს მუცელმა წვა და გლეჯა დაუწყო. გიო დუქნისკენ გაეშურა, ცხარე არაყს დავლევ და გამიგლისო, მაგრამ მუცლის გლეჯა უფრო-და უფრო გაუცხოვლდა. შინ მოტრიალდა, ნახა რომ ბავშებსაც მუცლები ასტკიოდათ. ჯერ ერთს მოსსნა პირსა და საქმება დაუწყო, ჯერ მეორეს, მესამეს და ასე ყველას დააწყებინა ტანიდამა და პირიდამ საქმება. ვერ შეუძლო პატარა პაჭრომ სოკოს მხამსა და პირველად ამ უბედურმა დახუჭა თვალები და ამ ქვეყანას გამოესალმა. აღბად სოკო თუ იყო დასუნთქული, გაუარა ამ აზრმა ერთ გლეხს თავში და ექიმთან წამლისათვის გაქანდა. მალე ბოთლით რაღაც წამალი მოიტანეს, ყველას დაალევინეს, ამონაღები სოკო ბახჩაში გადააქციეს, სადაც სოკო მოკრიფეს და დაარხეინდნენ,—აღარა უშავთ რა. შეიტყო თუ არა ეს მღვდელმა, მაშინვე ქ. გორიდგან ექიმი მოაყვანინა. მაზრის ექიმმა ბ. მ—ვმა ფერშლითურთ დაათვალიერა ავადმყოფნი და სთქვა, რომ ყველანი კარგად არიან, არა უშავთ-რა, გადარჩებიან, რადგანაც მაჯა კარგი აქვთო. მღვდელმა ამოიღო ჯიბიდგან ქაღალდში გახვეული ორი სოკო (იქვე ბოსტანში ეპოვნა კიდევ), უჩვენა ექიმსა და თანაც დასძინა, რომ ეს სოკო გველის სოკოა, ძალიან შხამიანია და გადარჩენა ამის გამო საეჭვოაო. ექიმი თავისს აზრს მტკიცედ ადგა, დაალევინა თითოს ზოგს 15, ზოგს 20 წვეთი რაღაც წამალი, გარდაცვალებულ ბავშვის გვამის დასაფლავების ნება მისცა და წაბრძანდა. მეორე დღეს ამას მიჰყვა ახლა მეორე, ცოტად ამაზე მოზრდილი გოგო, მესამე დღეს მესამე მსხვერპლი,—კიდევ გოგო. სოფლელნი თითქოს გამოირკვნენ, ყველა ჰკისპარაკობდა სოფელში, ყველა სოკოსა სწყევლიდა. რაც უნდა გამწარებდეს ჩვენი გლეხობა, რას იზამს სწავლას მოკლებული, უღონიარი, ცარიელა ჯიბ-ჯიბის მეტსა?! მეტი ღონე არ იყო, ისევ მაზრის ექიმისკენ გაქანდნენ, ის პასუხი-და მიიღეს, რომ აღარა ეშველება-რაო. მოიყვანეს საიდგანღაც ერთი დასტაქი. ამან ორ სხვა ავადმყოფს კუჭში გაუწმინდა და, წარმოიდგინეთ, მეოთხე დღეს კუჭიდგან სოკოები ამოაცალა! გორის აფთიაქის მოიჯარადრეს ბ-ნს ბაზიერაშვილს რაღაც ახლად გამოგონილი შხამიან სოკოს წინააღმდეგი წამალი გამოეგზავნა, ღმერთმა უშველოს ამ პატიოსანს ადამიანს, თუმცა სხვებს ვერა უშველა-რა, ამ წამალმა ერთი 14 წლის ქალი მაინც გადაარჩინა. თითონ მამამ გიომაც ტანჯვით დალია სული. ამ რიგად ვინც-კი სოკო ჭამა, ყველანი დაიხოცნენ, გადარჩა მხოლოდ მეზობლის ქალი ბ-ნ ბაზიერაშვილის წამლით და დედა ოჯახისა, რომელსაც ერთი სოკოს მეტი არა შეეჭამა. ასე ამოწყდა მთელი ოჯახი სოკოს მიზეზით. გარდატენილებმა, თავისდა სასიქადულოდ, გიო დავითაშვილი ღირსეულად დაასაფლავეს, როგორც ერთი უწყინარი ადამიანი თავისის საზოგადოებისა.

ჯერ ამ უბედურებას არ მორჩენილიყო ხალხი, რომ კინაღამ ზედ მეორე უბედურებაც არ დაატყდათ. გიო დავითაშვილის გვამი რომ გაასვენეს სასაფლაოზედ, ერთმა გლეხმა, გულა ბ—მემ, მუცლის ტკივილი იგრძნო და წამალი მოითხოვა. იქვე მყოფმა მზვარეულმა აიღო და მაზრის ექიმისგან დატოვებული კაპლი გამოურბენინა. გულა ბ—მემ 20 წვეთის მაგივრად (ქსრას მეყოფაო), აიღო და ნახევარ ჩამჩა კაპლი გადახუხა. შენს მტერს, მკითხველო, რაც იმას დღე დაადგა: უბედურმა იქვე ჩაიჩოქა, შოშიასავით პირი გააღო, თვალები გადმოუქანდა. მღვდელმა ამას სასაქმებელი წამალი დაალევინა და პროვიზორ ბაზიერიშვილთან კაცი აფრინა. ვიდრე წამალს ამოიტანდნენ, გულა ბ—მეს კნა მთლად მოეხრუკა, ტუჩი გადასმკრა, ტუჩები შეუსივდა და სხვა. მაგრამ სიკვდილს გადარჩა და დღეს უკვე კარგად არის.

ნ. თუბალაური.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კავკავიდგან ქ. პეტროვსკსა და ბაქოზედ რკინის გზის გაყვანის შემდეგ, ეჭვი არ არის, საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურთა რიცხვი, თუ ამ გზით რუსეთიდგან საქონლის გადმოტანა და გადატანა სრულიად შემცირდება და ამ გზით ამას იქით მხოლოდ ის იშვიათი მოგზაურებიდა ივლიან, რომელთაც აზრად კავკასიის შესანიშნავ მთებისა და ხეობების ნახვა ექნებათ, მაგალ. უცხოელნი მოგზაურნი და სხვანი. ამის გამო, საქართველოს სამხედრო გზის პირად მცხოვრებ მოხევეთა და ოსების ერთად-ერთი შემოსავლის წყარო: აღნიშნულს გზაზედ მუშაობა, საქონლის გადატან-გადმოტანა, თივისა და სანოვაგის გასყიდვა სრულიად დაეცემა და ამით მცხოვრებნი უნებურად დაქვეითდებიან ნივთიერად, რადგანაც გამოსადეგ სამუშავარ მიწების რაოდენობა სულ მცირეა და ერთი ნაწილი ადგილობრივ მცხოვრებთა მხოლოდ ამ გზის წყალობით ცხოვრობდა დღემდის. უცბად ამოდენა ხალხის უსაქმოდა და უნუგეშოდ დატოვება, ეჭვი არ არის, ცუდს გავლენას იქონიებს არა მარტო მცხოვრებლებზედ, არამედ მათ სახელმწიფო მოვალეობის პირნათლად შესრულებაზედაც: დაღარიბდება, დავალიანდება და შემდეგ ისევ მთავრობას გაუხდება საზრუნველად. ამისათვის აღმოჩენა რომლისამე ახალის წყაროისა მათთვის, რომ შემდეგშიაც შესძლონ მთის სასტიკ ბუნებასა და მწირს მიწებს შესაფერი ნაყოფი როგორმე გამოაღებინონ, მთავრობისავე წმიდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს, რადგანაც აქ კერძო კაცთა შეწირულება ვერრას გახდება, და აი სწორედ გაზ. „Кавказъ"-საც ამ თვალით შეუხედნია საქმისათვისა და ურჩევს მთავრობას შემდეგი, მართლაც-და გონივრული და ადვილად განსახორციელებელი, საშუალება იღონოს ამ რამდენისამე ასისა და იქმნება ათასი კომლისთვისაც, რომლებიც დღეის შემდეგ შეიძლება სრულიად ულუკმა-პუროდ დარჩნენ; აი ამ საგნის შესახებ გაზ. „Кавказъ"-ი № 147-ში რასა სწერს.

„აგერ თითქმის ასი წელიწადია, რაც საქართველოს სამხედრო გზა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში წლიურ შემოსავლისა გარდა, რომელიც ხან-დახან არც-კი ჰყოფნიდათ, ადგილობრივ მცხოვრებთ ამ გზამ არა მისცა-რა და მათს ზნეობრივს მხარეზედაც ძალიან ნაკლებად იმოქმედა. პირ-იქით ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, საფიქრებელიც-კია ეს ზნეობრივი ზედგავლენა. მართალია, მაგალითად, არსებულს გზაზედ ბევრი საკმაოდ იღებდა ფულს, მაგრამ ამითი მათს ოჯახურს განკარგებას არა ეშველარა, რადგანაც იმავე დროს გზის პირად აქა-იქ დახსნილი დუქნები და ყავახანები მცხოვრებთ ზნეობრივადა ჰხრწნიდა, უბრალო ფლანგვას აჩვევდა. ოჯახის უფროსს ნამუშევარის უმეტესი ნაწილი აღნიშნულს დუქნებში მიჰქონდა სმასა და ქაღალდის თამაშობაში გადასაყრელადა და შინაურ საქმეებს-კი მთლად დედაკაცს აჰვევდა თავზედ. და აი, მისდა სასახელოდ, რაც-კი შეჰრჩა დღევანდელს მთიელს, მოხევესა, თუ ოსს, ყოველივე ქალის უნარით შეჰრჩა; მასაც რომ გული აეცრუებინა ოჯახობაზედ, მაშინ ნატამალი აღარა დარჩებოდა-რა. ამავე ქალების წყალობით მოხდა, რომ მოხევეთა და ოსთა უმეტესობას სოფლის მეურნეობაზედ ჯერ გული სრულებით არ ამოურეცხია და კიდევ შეუძლიანთ, თუ-კი დაეხმარება ვინმე და შემწეობას აღმოუჩენს, ამ გზის გაუქმების შემდეგაც თავისი ოჯახისა და მეურნეობის საქმე კვლავ განაკარგონ.

და „Кавказъ"-იც სწორედ ამ გარემოებაში ჰხედავს ხსნასა, თუ-კი მთავრობა ჯეროვანის ყურადღებით განიხილავს ამ მთის მცხოვრებთა მართლაც უნუგეშო მდგომარეობასა და იმ დახმარებას აღმოუჩენს, რომელსაც აღნიშნული გაზეთი ასახელებს.

იგი სწერს:

„აი სწორედ ამ ჯერ კიდევ შერჩენილ ნიჭისა და უნარის შესახებ უნდა ვიფიქროთ რამე, თუ-კი არა გვსურს, რომ ეს მთის ხალხი ქვეყანას მოეფინოს და ლუკმა-პურის საძებნელად აქეთ-იქით იწანწალოს. უნდა ვიფიქროთ ამავე მცხოვრებთა სასარგებლოდ, რადგანაც, დუქნების გამხრწნელ ზედგავლენისა და მზამზარეულ სამუშავრის მიღებას მიჩვევისა გამო, ასეთი სარგებელი დღემდის არც უნახავს და ვერცა ჰხედავს. და ეს სარგებლობა-კი, ეჭვი არ არის, მომავალის ხელში, თუ რომ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამხედრო გზის შუაგულს გარს საუცხოვო, ალპიისებური, საძოვრები აკრავს; ეს საძოვრები და იალაღები-კი სრულს საშუალებას გვაძლევს, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი საქონლის მოვლა-მოშენებასა, მეცხვარეობასა და მერძეობას შევაჩვიოთ ახალის განკარგებულის წესითა და არა იმ რიგად, როგორც ახლა მიჰყავთ საქმე. მაგრამ ამისათვის, როგორცა ვსთქვით, დახმარება არის საჭირო, მაგრამ რადგანაც კერძო პირნი ამას ვერ შესძლებენ, საჭიროა ეს დახმარება მთავრობამ აღმოუჩინოს და სახელდობრ, მისმა სპეციალურმა ორგანომ—მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ, რომელსაც ყოველივე საჭირო საშუალება ხელთა აქვს.

პირველ ხნობით ამ გვარ დახმარებად ჩაითვლებოდა, მაგალითად, ის, რომ ამ ხალხისათვის მერძეობის სკოლა გაეხსნათ, სამაგალითო ფერმა დაეარსებინათ და მცხოვრებთათვის საუკეთესო ჯიშის მწველელი საქონელი დაერიგებინათ, რასაკვირველია შეღავათიანის პირობებით. რაც შეეხება დანარჩენს, ამას მომავალი აჩვენებდა სამინისტროს, თუ როგორ უნდა მოიქცესო".

ყოველივე ეს, რასაც „Кавказъ"-ი ურჩევს მთავრობას, ეჭვი არ არის, სამართლიანი მოთხოვნილებაა არა მარტო იმისთვის, რომ მცხოვრებნი გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან და ხელის მომართვა უნდათ, არამედ იმადაც, რომ ჩვენი მთების საძოვარი მართლაც შესანიშნავს ნიადაგს წარმოადგენს საუკეთესო ჯიშის მწველელ და მუშა საქონლის გასაშენებლადა და მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების გასავრცელებლადა და გასაფართოებლად. კავკასიის მადლიანი მთები ამ მხრივ ევროპის სხვა ადგილებს ბევრით აღარ ჩამოუვარდება და ადვილი მოსალოდნელია ერთს დროს ევროპის ბაზარში ჩვენმა ყველმა, ერბომა და საკლავმა თუ მეწველმა საქონელმა საპატიო ადგილი დაიჭიროს.

ამისათვის ვუსურვებთ ამ კეთილსა და დიდებულს მოსაზრებას მცხოვრებთა საკეთილდღეოდ თანამგრძნობნი ყველგან მოეპოებინოს და მთავრობასაც საქმე სასურველად გადაეწყვიტოს. იმედია, მთის მწირ მიწებთანა და სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში გამოვლილი მთიული ხალხი ამ მისთვის არა ახალს და მხოლოდ განკარგებულს სამეურნეო შრომას მთელს თავისს მხნეობას შეალევს და თუ ბუნებით გონებით ნიჭიერები არიან, ნივთიერადაც აგრე ადვილად არ დაიჩაგრებიან და შესაფერს მხნეობას გამოიჩენენ.

## უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** იმ დროს, როდესაც ოფიციალური ინგლისი და უმრავლესობა ინგლისურის გაზეთებისა სამხრეთ-აფრიკაში ომს გათავებულად სთვლიან, ისეთი გაზეთებიც აღმოჩნდნენ ინგლისში, რომელთაც აწინდელი საქმის ვითარება სამხრეთ-აფრიკაში ძალიან აღონებთ და ომს ჯერ სულაც არა სთვლიან გათავებულად. აი, მაგალითად, რას სწერს გაზეთი „Daily Graphic"-ი: „ტყუილად ეძლევიან ინგლისელნი სიხარულს; ტყუილად ჰგონიათ, რომ ბურების საქმე გათავებულიაო. თუმცა ჩვენმა ჯარმა შუაგულ ტრანსვაალამდე მიაღწია, დაიპყრო იოჰანესბურგი და პრეტორია, მაგრამ ბურების საქმეს ჯერ კიდევ ვერ ჩავთვლით წაგებულად. ბურებს იმის მეთედიც არ დაუკარგავთ, რაც ჩვენმა ჯარმა დაჰკარგა, იმათ ჯარი ჯერ კიდევ მძლიერი ჰყავთ. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ისიც, რომ ორის უკანასკნელის კვირის განმავლობაში ბურებმა სამგან დაამარცხეს ინგლისელები. მაისის გასულს მათ ტყვედ წაიყვანეს ლინდლეიში პოლკოვნიკი სპრაგი და მთელი ბატალიონი იომანრებისა. რა წამს მეტუენი რკინის გზას განშორდა, ბურებმა ხელად დააქციეს ეს გზა, ხოლო მეორე დღეს თავს დაეცნენ როდევალის მცხოვრებთ და ტყვედ წაიყვანეს მეორე ბატალიონი. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ გმირულს საქმეებს ერთად-ერთი რაზმი სჩადის, რომელიც ბევრი-ბევრი 5000 კაცისაგან შესდგებოდეს. ბურებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ხელად შეუძლიანთ ერთის ადგილიდგან მეორე ადგილში გადასვლა, რასაც ადგილ-მდებარეობის კარგად ცოდნაც ხელს უწყობს. ამას გარდა მცხოვრებლებიც ბურებს ეხმარებიან და უცხადებენ თანაგრძნობას. ასეთის ხალხის დამორჩილება ისე ადვილი არ არის, როგორც ჩვენში ჰგონიათ. შეიძლება ჩვენმა ჯარმა კიდით-კიდემდე მოიაროს ტრანსვაალი, მაგრამ ბურების დაპყრობა და დამარცხება მაინც ვერ მოახერხოს".

— თუმცა ინგლისელებმა სატახტო ქალაქი აიღეს, მაგრამ გამარჯვებით-კი ყველგან, სადაც-კი ინგლისელებსა და ბურებს შეტაკება ჰქონიათ, ბურებს გაუმარჯვნიათ. როგორც 9 ემოხსენებულსავე გაზეთს ატყობინებენ დეპეშით, 7 ივნისს ბურების გენერალს დევეტს ერთხელ კიდევ დაუმარცხებია მტრის რაზმი. წაურთმევია დევეტს ამ რაზმისათვის 3000 მუნდირი, სურსათი და საქონელი. გარდა ამისა 7 ივნისის ბრძოლაში დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი ინგლისელების მხრივ 1000 კაცამდე იქმნება თურმე. ყველა ამას სხვადა-სხვა გადამდები სენი, საქონლის ჭირი და სიცივეც დაერთო. რამდენისამე დღის განმავლობაში, მაგალითად, საქონლის ჭირისაგან ინგლისელებს კრონსტადტში 1000 ცხენი მოუკვდათ თურმე.

**ჩინეთი.** დიდნი სახელმწიფონი დროს აღარა ჰკარგავენ და თავიანთ ჯარებსა და გემებს ჩინეთისაკენ ჰგზავნიან. „დეილიელის საავგენტოს" დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩინგ-ვანტაოში რუსეთმა 40,000 ჯარის-კაცი გადასხაო. ეს ჯარი დღე-დღეზედ ელის ბრძანებას, რომ პეკინისაკენ გაუდგეს გზასაო. იმავ საავგენტოს სიტყვით, იაპონიას, შეუტყვია-რა ეს ამბავი, პეკინში დეპეშა გაუგზავნია და შეუთვლია, თუ რუსეთის ჯარი შემოვა მანდა, მე ორჯელ მაგაზედ მეტს გამოვგზავნიო.

— როგორც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, ჩინეთის იმპერატორს მიუმართავს დიდ სახელმწიფოებისათვის და უთხოვნია, დამეხმარენით და ტყვეობიდგან განმათავისუფლეთო. ამ გაზეთების სიტყვით, იმპერატორი იმპერატრიცასა და იმის მომხრეებს დამწყვდეული ჰყავთ და გარეთ-კი არ უშვებენ. იმპერატორი ჰპირდება თურმე სახელმწიფოებს თუ განმათავისუფლებთ პეკინიდგან სხვა რომელსამე ქალაქში გადამიყვანთ, ჩინეთში რეფორმებს შემოვიღებ და ევროპის ნებას მივცემ ყველასაო. გაზეთებს ეს ამბავი არა სჯერათ.

## სასამართლოს მატიანე

6 ივნისი.

აზ. ს. გეგეჭკორისა, თ. ჯელიასი, ერ. ელიასი და ქეთევან ელეფთეროვის საქმე.

6 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ზუგდიდის მაზ. ს. ცაიშის მცხოვ. აზ. სოლომონ გეგეჭკორისა, სოფ. ნაღვენჯიხისა—ერმალოზ ელიასი, სენაკის მაზ. სოფ. ნაბაკევსხოს—თათეოზ ჯელიასი და სოხუმის ოლქის სოფ. ბემიას მც. ქეთევან ელეფთეროვისა, რომელთაც ბრალდებოდათ დ. ოჩემჩირეში ანტონ შედიას მოკვლა.

1898 წ., 5 ნოემბერს, კოდორის ნაწილის უფროს ბ-ნ სტაროსელკისთან გამოცხადნენ დ. ოჩემჩირეს მცხოვრებნი მიხეილ ჭიჭია, ბ. შენგელია და პ. ბერძენიძე და განაცხადეს, რომ გუშინ, 4 ნოემბერს, სადღაც გადიკარგა ანტონ შელია და აქამდის არა სჩანსო. იგი შეძლებული კაცია და შესაძლებელია რაიმე ბოროტმოქმედებას ჰქონდეს ადგილი მის დაკარგვის საქმეში. პოლიცია მაშინათვე შეუდგა ძებნას და მეთოთხმე დღეს გ. აფაქიძემ და გ. ელიავამ შელიას სახლიდგან 2 ვერსის მანძილზე მდ. აბზიაგვაში შენიშნეს წყლიდგან ამოშვერილი კაცის ფეხი. როდესაც მივიდნენ, წყალში ტომარა ჰნახეს, ხოლო შიგ ა. შელიას გვამი. შელიას ყელი გამოჭრილი ჰქონდა, შუბლი გატეხილი, მარჯვენა ფეხი მოტეხილი, ერთს ფეხზე და ერთს ხელზე თითო თითი მოჭრილი. შეუდგნენ გამოძიებას, რომელმაც 11 ნოემბერს მეზურე ურბიას ფურნეში აღმოაჩინა ისეთივე ტომარა, როგორშიაც შელიას გვამი იყო გახვეული. როგორც მოწმეთა ჩვენებიდგან აღმოჩნდა, იმ საღამოს, რა საღამოსაც მკვლელობა მოხდა, ურბიას ფურნეში ენახათ გეგეჭკორი და ჯულია. ბევრი ჩხრეკა-ძიების შემდეგ ეჭვი ოთხ ზემოხსენებულ ბრალდებულზედ მიიტანეს. საბრალმდებლო ოქმიდგან სჩანს, რომ მკვლელობა უნდა ჩაედინა ოთხივეს ქუთევან ელეფთეროვის სახლში, სადაც ქუთევანს საყვარლის სახით მოუტყუებია ანტონ შელია, ღამე შეუყრიათ თავი გეგეჭკორს, ჯულიას და ელიას, მოუკლავთ შელია, ტომარაში ჩაუდვიათ და შემდეგ წყალში გადაუგდიათ. გეგეჭკორის ახალოხზე სისხლიც ენახათ. ეს საქმე პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა, რომელმაც დამნაშავედ იცნო ოთხივე. სამოსამართლო პალატამაც დამნაშავედ სცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა ოთხივეს კატორღაში გაგზავნა, გეგეჭკორსა, ელიას და ჯულიას—თითოს 12 წლით, ხოლო ელეფთეროვისას—10 წლით.

—

ამავე დღეს პალატამ განიხილა საქმე ახალ-ქალაქის მაზრის სოფ. ჩუნჩხელას მც. 19 წ. გლეხის არჩილ პავლეს ძის ცოტაძისა, რომელსაც გ. ბერიძის მოკვლა ბრალდებოდა.

22 დეკემბერს ბერიძე მეზობელთან ერთად წასულა მდინარეზე თევზის დასაჭერად. იქ ბერიძეს თავისს ფაცერზედ მიუსწრია ცოტაძისთვის, რომელიც იმის ფაცრიდგან თევზს იჭერდა. ამის გამო ცოტაძესა და ბერიძეს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ცოტაძეს თოფი უსროლია და იქვე მოუკლავს ბერიძე.

ამა წლის 21 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა-რა ა. პ. ცოტაძის საქმე, დამნაშავედ იცნო იგი და გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და სამუდამოდ ციმბირის შორეულს ადგილებში გადასახლება. სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაამტკიცა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრნი ამტკიცებენ, რომ ლაპარაკი ფრინველებმაც იციან, რომ იმათაც აქვთ თავიანთებური ენაო. ამ საგნის გამოკვლევას დიდი დრო და შრომა მოანდომა ერთმა ფრანგმა მეცნიერმა, საფრანგეთის აკადემიის წევრმა დიუპონ-დე ნემურმა. ფრინველების ენა ისევე უნდა შევისწავლოთო, ამბობს ეს მეცნიერი, როგორც ჩვეულებრივ ველურ ხალხთა ენებსა ვსწავლობთ ულექსიკონოდ, უთარჯიმანოდ და უგრამატიკოდაო. ამ მეცნიერს ფრინველთა ენაში ბევრი სიტყვა გაურჩევია და გადაუთარგმნია ფრანგულად. უმთავრესად მეცნიერს ყვავებისა და ბულბულების ენა შეუსწავლია. ეს მეცნიერი ამბობს, რომ ყვავების ენა სულ 20—30 სიტყვისაგან შესდგებაო. ეს 30 სიტყვა სრულიად საკმაო შემდეგის გამოსათქმელად: აქ, იქ, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, საჭმელი, მოერიდე, შეიარაღებული კაცი, ცივა, ცხელა, გავფრინდეთ, მიყვარხარ, მეც მიყვარხარ, ბუდე და სხვა ამნაირი სიტყვები. უფრო მდიდარია, მეცნიერის აზრით, ბულბულის ენა. დიუპონ-დე-ნემურს ბულბულის სასიმღერო ლექსიკ-კი გადმოუთარგმნია ბულბულის ენიდგან ფრანგულს ენაზედ.

* * *

სტუდენტების რიცხვით ევროპის სახელმწიფოებს გერმანია სჯარბობს; უნივერსიტეტიც აქ ყველაზედ მეტია—21 უნივერსიტეტია. 1832 წელს გერმანიის უნივერსიტეტებში სულ 13,029 სტუდენტი სწავლობდა, ეხლა-კი 32,336 სტუდენტი სწავლობს. 1830 წელს 1 მილიონ მცხოვრებზედ 395 სტუდენტი მოდიოდა, ეხლა-კი 599 სტუდენტი მოდის. სტუდენტთა რიცხვმა ძალიან იმატა გერმანიის დიდ ქალაქების უნივერსიტეტებში.

* * *

ერთი რუსული გაზეთი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს. პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ერთის საქმის გარჩევის დროს მოწმედ დაბარებული ყოფილა ერთი ხნიერი ქალი. ამ ქალს ნაქურდალი ნივთები ეყიდნა, თუმცა არა სცოდნოდა, რომ ნივთები ნაქურდალი იყო. საქმის გარჩევის დროს თავმჯდომარეს უკითხნია მოწმისათვის:

— ვერ გვეტყვით, ვისგან იყიდეთ ნივთები? ხომ არ გახსომთ იმისი სახე?

— როგორ არა, მახსოვს, ბ-ნო მოსამართლევ.

— აბა დააკვირდით კარგად, აქ ხომ არ არის ის, ვისგანაც ნივთები იყიდეთ?

— მე ცოტა კარგად ვერა ვხედავ, ამიტომ თუ ახლოს არ მივედი, ვერ ვიცნობო.

შემდეგ მოწმეს ჩამოუვლია და სათითაოდ დაუთვალიერებია იქ მყოფნი. ბოლოს ქურდის ვექილთან მისულა, შეუხედნია და გაჯავრებულს დაუძახნია: აი, ბ-ნო მოსამართლევ, ამისაგან ვიყიდე ის ნივთებიო!.

* * *

უცნაური ამბავი მომხდარა რომში. ამას წინად რომის წმ. პავლეს ეკკლესიაში ბევრი მლოცველები შეკრებილან. მლოცველები გერმანიიდგან და საფრანგეთიდგან ყოფილან. შუა ლოცვის დროს ფრანგ მლოცველებს სასაცილოდ აუგდიათ გერმანელნი, რომელნიც საეკკლესიო საგალობლებს ჰგალობდნენ, და სტვენა დაუწყვიათ იმათთვის. ამავე დროს ლაპარაკი მოსვლია ორ პატრს—ფრანგსა და ნემეცს. ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც ფრანგ პატრს სილა გაურტყავს ნემეცისათვის. ჩხუბი მხოლოდ მაშინ მოსპობილა, როდესაც პაპის დარაჯები შესულან ეკკლესიაში და მოჩხუბარნი გაუშველებიათ.

* * *

როგორც ერთი გაზეთი მოგვითხრობს, ამას წინად დაბა პოდგაიცეში მეხი დასცემია ერთ ბერძნების ეკკლესიას. ეკკლესიაში ამ დროს წირვა იყო თურმე. ათი თუ თორმეტი კაცი და ქალი იქვე მოუკლავს მეხს და ოციც მძიმედ დაუშავებია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივნისი.

**ლონდონი.** გონკონგიდგან იუწყებიან, რომ „დიდის მუშტის“ მოძრაობა დასავლეთ მდინარის მიდამოებშიაც გავრცელდაო.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს არავითარი ახალი ცნობა არ მიუღია.

**ბერლინი.** გერმანიის ელჩს ჩიფუში ებრძანა, რაც შეიძლება ჩქარა მოელაპარაკოს კრეისერთა ესკადრის უფროსს ტაკუსა და ჩიფუს შუა საგემო ფოსტის გასამართავად.

**ბერლინი.** იმპერატორის ბრძანებით, ჩინეთში გასაგზავნ ორსავე საზღვაო ბატალიონის რიცხვი გადიდებულ იქმნება. ამას გარდა სდგებკიაო-ჩაუში გასაგზავნად საპატერიო რაზმი. პატარეიას 6 ზარბაზანი ექმნება.

**შანხაი.** ამბობენ, მისსიები პეკინში დაზარალებული არ იქმნენ და ადმირალი სეიმური უცხო-ქვეყნელ ჯარითურთ პეკინამდე მივიდაო.

**ლონდონი.** შანხაიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ტაკუს აღებამდე მომხდარს ბრძოლაში სიმაგრეებზედ მოკლულ იქმნა 700 ჩინელი და ტყვედაც ასამდე იქმნა წაყვანილიო; რუსებმა და გერმანელებმა ხელთ ჩაიგდეს ჩინეთის კრეისერი „ხალიანგი“.

**ვენა.** „Pol. Corr.“-ი იუწყება, ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნა: სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ ინგლისმა ურჩია იტალიას, ისარგებლე აღელვებით და დაიჭირე ჩინეთში რომელიმე ადგილიო.

**კიევი.** მიტროპოლიტი იოანნიკე გარდაიცვალა.

**ლონდონი.** გამმონიიდგან იუწყებიან, რომ ბურების მრავალ-რიცხოვანი ჯარი რენდლის ჯარის წინა სდგასო. ბურებს აზრადა აქვთ სამხრეთისაკენ გაიკვლიონ გზა. ჯარს წინამძღოლობენ დევილიე, გერმანუსი და შტეინი, პრეზიდენტის ძმა, რომელიც აგრეთვე ჯარშია. ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ეხლა ბეთლეემია; მთავარი ბანაკი ბურებისა ფიკსბურგის მახლობლად იქმნა გადატანილი; ბურებმა ზარბაზნები დაუშინეს ინგლისის ბანაკს ფიკსბურგთან; მარცხნივ იომანრები მთელი დღე თითქმის ბრძოლაში იყვნენ. ტრანსვაალელი ბურები უკან იწევენ და გზას უთმობენ ბულლერს და ორანჟიელ ბურებს უერთდებიან.

**ოლდენბურგი.** დაასაფლავეს დიდი ჰერცოგი. დაესწრნენ გერმანიის იმპერატორი და სხვანი.

8 ივნისი.

**შანხაი.** როგორც რკინის გზის ინსპექტორის მიერ გამოგზავნილი დეპეშიდგანა სჩანს, ადმირალი სეიმური სახელმწიფოთა ჯარით 17 ივნისს მართლაც შესულა პეკინში. დეპეშა არ იუწყება დაწვრილებით პეკინში მომხდარ ამბებსა და ჯარის ზარალის შესახებ.

**ლონდონი.** პრისხუდგან დეპეშით იუწყებიან, რომ დასავლეთ-ევროპის ჯარს, ვილსონის უფროსობით, კოკვაიდგან კვისსში მიმავალს, ესენკვანტთან მტერი დახვდა და ბრძოლა გაუმართაო. მტერი დამარცხებულ იქმნა. ვილსონს 10 კაცი მოუკლეს და 24 დაუჭრესო.

**ვენა.** საზღვაო უწყებამ ბრძანება გასცა გაგზავნილ იქმნას ჩინეთში კრეისერთა პირველი რაზმი.

**ლონდონი.** რობერტსი პრეტორიიდგან იუწყება, რომ გენტერის მოწინავე რაზმმა 5 ივნისს კრიუგერსდორპი დაიჭირა, ხოლო 6 ივნისს დაამარცხა ბურები, რომელთაც ხრისტიან დევეტი უფროსობდა. დევეტმა განიზრახა ინგლისელები ქალაქში არ შეეშვა.

**ბელგრადი.** გეტტონის ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა ორი ზარბაზანი წაართვა ჯარის უფროსს დიუპლესს. რკინის გზა შეკეთებულ იქმნა და კაპშტადტსა და ტრანსვაალს შუა მატარებლები უკვე დაიარებიან. იოჰანესბურგში მაღაზიები გახსნეს.

**ლორენცო-მარკეზი.** რობერტსმა შეუთვალა ბოტტას დამორჩილდი, ამით სისხლის ღვრას ავცდებითო. ბოტტამ ხუთის დღით ომის შეწყვეტა ითხოვა, მაგრამ ეს თხოვნა უარ-ყოფილ იქმნა, ომი განახლდა.

**ვაშინგტონი.** ჩიფუში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, რომ მისსია სუმჩეუში განადგურებულ იქმნაო. ჩინელმა გენერალმა მისსიონერები სხვა უშიშარ ადგილას გადაიყვანა.

**ჩიფუ.** როგორც ტაკუდგან იუწყებიან, იქ გუშინ გადასვეს რუსეთისა, ინგლისისა და გერმანიის რაზმები ტიან-ძინის დასაცველად. სეიმურიდგან არავითარი ცნობა არ მოსულა.

**ლონდონი.** საადმირალომ დეპეშა მიიღო ინგლისის ადმირალის ბრუსიისაგან, 4 ივნისს, საღამოთი, ტაკუდგან გამოგზავნილი. ადმირალი იუწყება ტაკუს სიმაგრეების აღებისა და იმის შესახებ, რომ მეორე დღეს ჩინეთის ადმირალი დაესწრო შეერთებულ ფლოტის უფროსთა თათბირს და განაცხადა, თქვენთან ერთად ვეცდები ამბოხების ჩაქრობასაო. სეიმურისა და საერთა შორისო ჯარისაგან არავითარი ახალი ცნობა არ მოსულა. ისინი, ტიან-ძინში წავიდნენ, საიდგანაც წარსულ საღამოს ძლიერი სროლის ხმა ისმოდა, სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თანხმობით მოქმედებენ.

**პარიჟი.** მონცზში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა შემდეგი დეპეშა მიიღო ფრანსუასაგან: „28 მაისს, იუშანფუდგან გამოსვლის დროს, თავს დაგვესხნენ. იძულებული გავხდით, უკანვე ქალაქში დავბრუნებულიყავით. მთელი ჩვენი ქონება გაიტაცეს; მისიონერებისა და რკინის გზის შენობებს ცეცხლი წაუკიდეს. გადარჩა მხოლოდ ჩემი სახლი, სადაც თანამემამულენი შევკრიბე და თოფების შემწეობით 48 საათი გავმაგრდით. ბოლოს, ყველა ამის შემდეგ, მანდარინებმა ზომები მიიღეს. მე მოვითხოვე, რომ ჩვენ საზღვრამდე გავეცილებინეთ. უეჭველად საჭიროა მთავრობამ ჩვენი განთავისუფლება მოითხოვოს; ჩვენ თითქმის დყვედა ვართ. ამ ჟამად ფრანგები უვნებელნი არიან“. ვიცე-კონსული უმეტესს, რომ მონცზი ჯერ კიდევ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა წაიკითხა ტიან-ძინიდგან მიღებული ამბავი, რომ „დიდმა მუშტმა“ წაახდინა ლიანდაგი ტიან-ძინის ჩრდილოეთითა, დასწვა რომის კათოლიკეთა ეკკლესია, ნიში და ჩინელთა მრავალი სახლიო. ჩინეთის ჯარი არა ცდილა დაეშალა ბროსოეკისათვის უცხო ქვეყნელთა აკლება. უცხო-ქვეყნელთა რაზმმა 100 კაცამდე მოუკლა „დიდ მუშტს“.

**პეტერბურგი.** დღეს, დილის 9 ნახევარ საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ტვინში სისხლის ავარდნისაგან გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი მურავიოვი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც ნივთიერად შემწეობა აღმოუჩინეს ჩემდამო რწმუნებულ პატარა—ფოთის სკოლის შენობის აგებას: ბ-ნს არტემ ხოშტარიას, რომელმაც 50 მან. მასალა შემოსწირა და მეიჯარადრე ბეჩუ გაბელიას უბაჟოდ მასალების დათმობისათვის.

პატარა-ფოთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი პორფირე უჩანეიშვილი

—

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ბ-ნ იორდანე ცერცვაძეს როგორც ჩემს მაგიერ, ისე დ. ყვირილის მცხოვრებთა მაგიერ, რადგან მან დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველოს. 15 აპრილს გავმართე საცეკვაო საღამო აქაურ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ და ამ საღამოსათვის ბ-ნმა ცერცვაძემ დაგვითმო მთელი თავისი სახლი უფასოდ და დაგვეხმარა კიდეც, რითაც შეეძლო. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი ყველას რომლებიც დამეხმარნენ, განსაკუთრებით ბ-ნს ვანო არდიშვილს, რომელიც სულითა და გულით მონდომებულია სამკითხველოს გაუმჯობესობას. წმინდა შემოსავალი 101 მან. 50 კაპ. გარდავეცი სამკითხველოს გამგე წევრებს.

საღამოს გამგე ეკატერინე გიორგი აბაშიძის ასული კნეინა ერისთავისა


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 1900 წლის 15 ივნისისათვის დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის ლიმონადის სავაჭრო ფარდულები.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 1 საათამდე.

(3—6.—3)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—11)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე